



**უფლებები  
საქართველო**  
Rights Georgia

# ედექრონუდი მართდმსაჯუდების ეფექტიანობის და ხადმისაწვდომობის მონიტორინგი

მონეა შუადღური ანბანიში

2020



**USAID**  
აშერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

## შესავალი

2020 წლის მაისიდან, “უფლებები საქართველო” ახორციელებს პროექტს “ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი”. პროექტი ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWWI) მიერ.

პროექტის მიზანია, ერთის მხრივ, გამოვლინდეს ის პრობლემები რასაც სასამართლოს მომხმარებლები აწყდებიან სასამართლო სერვისებით სარგებლობისას საგანგებო ვითარების დროს, მეორეს მხრივ - განხორციელდეს სხდომების ელექტრონული წარმართვის მონიტორინგი და შემუშავდეს რეკომენდაციები დისტანციური სერვისების განხორციელების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი ახორციელებს ელექტრონულ სხდომებზე დაკვირვებას და მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სუბიექტების გამოკითხვას აღნიშნული პრობლემების შესწავლისათვის.

მეორე შუალედურ ანგარიშში მიმოხილულია იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა და პროკურატურის მუშაკთა გამოკითხვის შედეგები, ასევე დისტანციურად ჩატარებული ორი სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგები.

პირველი შუალედური ანგარიშის ნახვა შესაძლებელია აქ:

<https://article42.ge/ka/siakhleebi/article/82798>

აღსანიშნავია, რომ მეორე შუალედურ ანგარიშზე მუშაობის პერიოდში, 2020 წლის 22 მაისს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებით (მუხლის 332<sup>ე</sup>) შესაძლებელი გახდა დისტანციური სასამართლო სხდომების ჩატარება ორ შემთხვევაში:

თუ:

ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა;

ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩატარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.

ამავე ნორმაში ჩაინერა, რომ სასამართლო ზემოთ გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით.

2020 წლის 5 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეკომენდაციების ახალი პაკეტი, რომლითაც სასამართლოებს მოუწოდა დისტანციური პროცესების ფართო გამოყენებისკენ.

დანვრილებით:

<http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-rekomendatsiebi/3672>

## იურიდიული დახმარების სამსახურის აღმოკვეთვის გამოკითხვა ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე

2020 წლის მაისში პროექტმა განახორციელა იურიდიული დახმარების სამსახურის 121 ადვოკატის გამოკითხვა წერილობითი კითხვარების მეშვეობით. კითხვარები ეხებოდა როგორც დისტანციურ სხდომებს, ასევე სასამართლოს დისტანციურ სერვისებს. ამავე წლის ივნისში განხორციელდა ადვოკატების მიერ შევსებული კითხვარების ანალიზი, როგორც რაოდენობრივი, ასევე შინაარსობრივი კუთხით.

### სასამართლო სერვისები

შეკითხვაზე, თუ რა პრობლემები არსებობს სასამართლო სერვისების კუთხით, იმ რესპონდენტების პასუხები ვინც უპასუხა ამ შეკითხვას შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ა. სასამართლო სერვისების კუთხით რაიმე პრობლემა არ მქონია - 69 რესპონდენტი
- ბ. არსებობს გარკვეული შეფერხებები სასამართლო სერვისების კუთხით - 32 რესპონდენტი

რესპონდენტებმა დაასახელეს შემდეგი პრობლემები სასამართლო სერვისების კუთხით:

- დასვენების დღეებში გაგზავნილი გზავნილი სასამართლოში რეგისტრირდება მომდევნო დღეს, რაც, ადვოკატების აზრით, არ არის მართებული.
- უმეტესწილად, გამოიკვეთა პრობლემები საქმის მასალების გაცნობასთან და გადაღებასთან დაკავშირებით.
- პანდემიის დროს პრობლემური იყო დოკუმენტის ფიზიკურად მომზადება და მასზე ხელმოწერის დასმა, ასევე არ არის მოქნილი სასამართლოსთან დისტანციური ურთიერთობის ელექტრონული პროგრამა.
- პანდემიის დროს რთული იყო სასამართლოში მისვლა სასამართლო გადანაცვლებების მისაღებად.
- რესპონდენტები თვლიან, რომ სასამართლო ოფიციალურ მეილზე გაგზავნილ დოკუმენტს ჩაბარებულად უნდა თვლიდეს და არ ითხოვდეს დამატებით პროგრამაში გაგზავნას.
- სასამართლოში დისტანციურად დოკუმენტების წარდგენის სერვისი არ არის გამართული. ელექტრონული ანგარიშის დაბლოკვის შემთხვევაში, ხელახლა რეგისტრაციის სერვისი პრაქტიკულად არ არსებობს, არ არის განსაზღვრული პიროვნება, რომელსაც აღნიშნულ პრობლემებზე უნდა დაუკავშირდეს მომხარებელი.
- სასამართლოსთან ელექტრონული კომუნიკაციის პროგრამას აქვს ხარვეზები, კერძოდ, სმს-ის საშუალებით პროგრამა ადვოკატს აცხობინებს მხოლოდ განაცხადის წარმატებით გაგზავნას, თუმცა უცნობია საჩივარმა წარმატებით გაიარა თუ არა ფორმალური შემოწმება და გაიგზავნა თუ არა სააპელაციო სასამართლოში.
- პრობლემა არის ის, რომ ადვოკატებს არ აქვთ საქმეზე ელექტრონული წვდომა, რითაც შეძლებდნენ საქმეებზე დაკვირვებას.
- იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ყველა შემთხვევაში სასამართლოში ითხოვენ დედან ქვითარს, რაც გამორიცხავს საქმის ელექტრონულად ჩაბარებას.

- არასამუშაო დღეს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი საჩივარი არ ჩაითვალა ჩაბარებულად, რაც რესპონდენტის აზრით პრობლემაა.
- უნდა შეიძლებოდეს ადვოკატის ორდერის წარდგენა ელექტრონული ფორმით.

### დისტანციური სხდომების გზის ახლებური პრობლემები

შეკითხვაზე, აწყდებით თუ არა პრობლემებს დისტანციურ სხდომებში მონაწილეობის დროს, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ა. არ ვაწყდები არანაირ პრობლემებს (26 რესპონდენტი);
- ბ. ვაწყდები გარკვეულ პრობლემებს (49 რესპონდენტი).

დისტანციურ სასამართლო სხდომებთან დაკავშირებით რესპონდენტებმა მიუთითეს შემდეგ პრობლემებზე:

- ინტერნეტკავშირის ხარისხი და სხვა ტექნიკური ხარვეზები.
- ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციის პრობლემურობა.
- მოწმის დაკითხვის პრობლემა: აუცილებელია უშუალო კონტაქტი მოწმესთან.
- მტკიცებულებების გამოკვლევა არის პრობლემა დისტანციურ პროცესში. ზოგი გამოკითხული ფიქრობს, რომ ნივთმტკიცების გამოკვლევა უნდა მოხდეს მხოლოდ რეალურ სხდომაზე.
- პრობლემურია პროცესის მართვა, ვინაიდან პროცესის მიმდინარეობისას ვერ იქნება ადკვეთილი თვითნებური ჩარევები და წამოძახილები.
- თარჯიმნის მონაწილეობა, რომელიც ართულებს დისტანციურ პროცესს.
- პრობლემურია მოწმეთა დაკითხვა, ვინაიდან ბევრ მათგანს არ აქვს ჩართვის ტექნიკური საშუალება.
- მოწმეების დისტანციურად ჩართვა დროულად ვერ ხდება, რაც აჭიანურებს პროცესს.
- სხდომის მიმდინარეობისას ბრალდებული საჭიროებს ადვოკატისგან განმარტებებს, რაც შეუძლებელია.
- პრობლემაა ის, რომ ყველა სხდომის დარბაზი არ არის სათანადოდ ტექნიკურად უზრუნველყოფილი, რაც აფერხებს სხდომების ჩატარებას.
- ხმის ხარისხი პრობლემურია პენიტენციური დაწესებულებიდან ბრალდებულის ჩართვისას.
- მოწმის დაკითხვისას მხარე მიანიშნებს პასუხზე და ამას იმით ხსნის, რომ მოწმემ ვერ გაიგონა შეკითხვა.
- სხდომაზე ხდება მტკიცებულებათა ასლების და არა დედნების გამოქვეყნება, რაც გარკვეულად პრობლემაა პროცესის უშუალოების თვალსაზრისით.
- პრობლემურია მოწმისთვის ნივთიერი ან წერილობითი მტკიცებულების დემონსტრირება.
- ადვოკატი ეფექტურად ვერ აკვირდება მოწმის მიმიკას და შესაბამისად ვერ ამოწმებს მისი ჩვენების დამაჯერებლობას.

შეკითხვაზე, თუ რა პრობლემებს უკავშირდება მონმის დისტანციური დაკითხვა გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- დისტანციური დაკითხვის დროს მონმე შეიძლება დაწერილს კითხულობდეს, ან მონმეს ვინმე პასუხებს კარნახობდეს, რაც პრობლემაა.
- როგორც ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, მონმის დისტანციური დაკითხვის დადებითი თვისება არის ის, რომ ბრალდების მონმე პროკურორს თვალეში აღარ უყურებს, შესაბამისად, პროკურორი მის ქცევას უფრო ნაკლებად აკონტროლებს.
- პრობლემა არის ის, რომ შესაძლოა ერთი მონმე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული ისმენდეს მეორე მონმის ჩვენებას.
- მონმისთვის მნიშვნელოვანი კითხვის დასმის დროს შეიძლება კავშირი ბუნებრივად ან ხელოვნურად გაითიშოს და კავშირის აღდგენის პერიოდში მონმე „მომზადდეს“.
- პოლიციელი მონმის დაკითხვის დროს ზოგიერთ ადვოკატს აქვს შეგრძნება, რომ მას პერიოდულად მითითებას აძლევენ, თუ რა უნდა უპასუხოს.
- ზოგჯერ ხდება ისე, რომ მონმე იმიზეზებს, თითქოს მას კითხვა არ ესმის და ამ გზით ცდილობს შეკითხვას თავი აარიდოს.

შეკითხვაზე, ხომ არ ჰქონია ადგილი მხარის რაიმე უფლების დარღვევას დისტანციური პროცესის ჩატარების გამო:

- მხოლოდ ხუთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხარის უფლების დარღვევას დისტანციური პროცესის დროს.

მონმის დაკითხვასთან დაკავშირებით რესპონდენტებმა გამოკვეთეს შემდეგი პრობლემები:

- მონმისათვის პასუხის კარნახის შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში არღვევს სამართლიანი პროცესის პრინციპს.
- ერთი რესპონდენტის აზრით, დისტანციური პროცესის დროს უფლებების დარღვევის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ზემდგომ სასამართლოში მისი გამოსწორება.
- ერთი რესპონდენტის განცხადებით, მის პრაქტიკაში ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა დისტანციური სხდომების წარმოებისას მხარის უფლების დარღვევა გარდაუვალია.
- ერთი რესპონდენტის განცხადებით, თუ ადვოკატსა და კლიენტს პროცესის მიმდინარეობისას არ მიეცათ დაცული კომუნიკაციის შესაძლებლობა, ეს გამოიწვევს დაცვის უფლების ხელყოფას.

შეკითხვაზე, თუ როგორ ხორციელდება დისტანციური პროცესის დროს ბრალდებულსა და ადვოკატს შორის პოზიციების შეჯერება, რესპონდენტებმა აღნიშნეს შემდეგი:

- გამოკითხულთა ნაწილის აზრით, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან ელექტრონულ პროგრამაში კომუნიკაციის მეშვეობით კავშირის კონფიდენციალობა არ იქნება დაცული.
- პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაცია იმავე ელექტრონულ პროგრამაში, როდესაც პროცესის სხვა მონაწილეები ტოვებენ ელექტრონულ პროგრამას, ხოლო ბადრაგი გადის იმ ოთახიდან სადაც პატიმარი იმყოფება. ზოგი გამოკითხული ფიქრობს, რომ ტექნიკური საშუალებით კომუნიკაცია არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან კონფიდენციალობა ვერ იქნება დაცული.
- გამოკითხული ადვოკატების ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი ბრალდებულთან პოზიციების შეჯერებას ახდენენ პროცესის დაწყების წინ, ბრალდებულთან პირადად შეხვედრის, ან სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. ზოგი ათანხმებს მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომლებიც არ არის კონფიდენციალური.
- ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოსამართლემ მას მისცა მცირე დრო ელექტრონულ პროგრამაში ბრალდებულთან კომუნიკაციისთვის პროცესის დაწყების წინ.

*ღისგანციხაჲ ჩაგაჩებუღი სხდომების ღხოს კავშირის ხაჩისხი (ხმა, გამოსახულება).*

შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდით დისტანციური სხდომების დროს კავშირის ხარისხს,

48 რესპონდენტმა შეაფასა დადებითად, 47-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არის გარკვეული ხარვეზები, ხოლო 4-მა რესპონდენტმა შეაფასა უარყოფითად.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ხმის და გამოსახულების პერიოდულად გაქედვა.
- ხმის გამეორება.
- ხმის ბუნდოვანება, რაც ქმნის ნათქვამის გამეორების საჭიროებას.
- სასამართლო დარბაზის ექო იძლევა ცუდ ხმას სისტემაში, შესაბამისად, მოსამართლის ხმა ცუდად ისმის.
- მონაწილეთა რაოდენობა, რომელიც გავლენას ახდენს კავშირის ხარისხზე და მეტი რაოდენობის ჩართვისას ხარისხი უარესდება.
- ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კავშირის წყვეტას იწვევს ელექტროენერგიის წყვეტა რეგიონში.
- დარბაზში არსებული მიკროფონები პირდაპირ არ უკავშირდება პროგრამას, შესაბამისად დარბაზში დამსწრე პირებისგან მომავალი ხმის ხარისხი დაბალია.

შეკითხვაზე, თუ რა არის დისტანციური სხდომების დადებითი მხარეები, რესპონდენტებმა გამოკვეთეს შემდეგი ასპექტები:

- გადაადგილების საჭიროების არარსებობა და, შესაბამისად, დროის და ფინანსური რესურსის ეკონომია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადვოკატს შორ მანძილზე უწევს გადაადგილება.
- დარბაზში ლოდინის საჭიროების არარსებობა.
- უსაფრთხო გარემო.
- მართლმსაჯულების დაჩქარება.
- პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ნებისმიერი ადგილიდან.
- მოსამართლეზე დაზარალებულის ემოციური ზეგავლენის ნაკლებობა.

შეკითხვაზე, თუ რა რეკომენდაციები გექნებოდათ დისტანციური პროცესების გაუმჯობესების კუთხით, რესპონდენტებმა წარმოადგინეს შემდეგი რეკომენდაციები:

- ონლაინ კავშირის ხარისხის გაუმჯობესება.
- შესაძლოა სასამართლოში გაკეთდეს ოთახი, სადაც მონშის და დაზარალებულის ჩართვა მოხდება დისტანციურ პროცესში (მათი, ვისაც არ შეუძლიათ სახლიდან ჩართვა).
- შეიძლება საკანონმდებლო წესით განისაზღვროს საქმეთა კატეგორიები, რომლებზეც შეიძლება დისტანციური სხდომების ჩატარება.
- დისტანციური სხდომების ჩატარება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
- აუცილებელია სასამართლოს აპარატის თანამშრომლები სხდომის დაწყებამდე ახდენდნენ პროგრამის დატესტვას და მხარეების ჩართვას.
- დისტანციური ჩართვის დროს მონშე არ უნდა იმყოფებოდეს საგამოძიებო ორგანოში.
- უნდა არსებობდეს დასაცავ პირის ადვოკატთან დისტანციური ურთიერთობის შესაძლებლობა, სადაც კონფიდენციალობა იქნება დაცული.
- მოსამართლის ხმა ისმის დარბაზიდან და ექოს აძლევს, ამიტომ ჯობია მოსამართლე მიკროფონში საუბრობდეს.

## პროკურორების გამოკითხვის ანალიზი

სხვა რესპონდენტების მსგავსად, პროკურორების გამოკითხვა ჩატარდა პროექტის მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 19-მა პროკურორმა. კითხვები ეხებოდა როგორც სასამართლო სერვისებს, ასევე დისტანციური სხდომების დროს არსებულ პრობლემებს და რესპონდენტთა რეკომენდაციებს სამართალწარმოების გაუმჯობესების მიზნით.

კითხვარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური საკითხები:

## სასამართლო სეზისები

რესპონდენტების მიერ სასამართლო სერვისების კუთხით რაიმე პრობლემა არ დაფიქსირებულა. დაფიქსირდა მხოლოდ ერთი პრობლემა, რაც ეხება დიდი მოცულობის მასალის მეილით გადაგზავნას, რომელიც ზოგ შემთხვევაში ვერ მიდის ადრესატამდე.

## დისტანციური სხდომების პირობები

დისტანციურ სხდომებთან დაკავშირებით, რესპონდენტებმა მიუთითეს შემდეგ პრობლემებზე:

- იმის გამო, რომ სასამართლოში დასაკითხი პირები ხშირად არ ფლობენ შესაბამის ტექნიკურ მოწყობილობებს, ბრალდების მხარეს დასაკითხი პირების ჩართვა უწევს პოლიციის განყოფილებებიდან.
- ხშირად დასაკითხი პირი აცხადებს, რომ ხმა არ ესმის, რაც რთული გადასამონმებელია.
- პრობლემურია მოწმის იდენტიფიკაციის, ასევე მისი გაფრთხილების საკითხი (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე).
- პრობლემურია წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევა დისტანციური პროცესების დროს.
- წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა რთულია, ვინაიდან დედანი სასამართლოშია.
- პრობლემურია ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა, ვინაიდან მოსამართლე ვიდეოჩანაწერს რთავს სხვა კომპიუტერში, შემდეგ ხდება ეკრანის შემობრუნება და ჩვენება, თუმცა გამოსახულება არ არის ხარისხიანი.
- პრობლემურია მოწმისთვის დასმული კითხვების განრიდება (პროტესტი), ვინაიდან მოსამართლესთან ხმა დაგვიანებით მიდის და მოწმეს უკვე გაცემული აქვს პასუხი შეკითხვაზე.
- იყო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულებმა უარი განაცხადეს ონლაინ რეჟიმში ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევაზე და მოისურვეს რეალურ პროცესზე გამოკვლევა.

## დისტანციური სხდომების გზის ვიდეო-აუდიო კავშირის ხარისხი

შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდით ვიდეო-აუდიო კავშირის ხარისხს, 8 რესპონდენტმა მიუთითა, რომ კავშირის ხარისხი დადებითია, ხოლო 11-მა რესპონდენტმა მიუთითა, რომ არის გარკვეული პრობლემები, კერძოდ:

- რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ვიდეო კავშირი კარგია, თუმცა აუდიო კავშირი ზოგჯერ პრობლემურია. იმ შემთხვევაში როდესაც კარგად არ ისმის პროცესის მონაწილის ხმა, მოსამართლეს უწევს მისი ნათქვამის გამეორება სხვების გასაგონად.
- ერთი რესპონდენტის აზრით, კავშირის ხარისხი ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ინტერნეტის სიჩქარე რომლითაც კონკრეტული მხარე ჩართულია პროცესში.



- იყო შემთხვევები, როდესაც თარჯიმნის ხმა არ მიდიოდა ბრალდებულთან.

### დისტანციური პროცესების დადებითი მხახეები

რესპონდენტებმა აღნიშნეს დისტანციური პროცესების შემდეგი დადებითი მხარეები:

- იზოგება სასამართლოს დარბაზში ლოდინის დრო.
- დაცულია მონაწილეთა უსაფრთხოება.
- იზოგება ტრანსპორტირების დრო და ხარჯი, განსაკუთრებით როდესაც ჩართვა ხდება ტერიტორიულად დაშორებულ სასამართლოში.
- მართლმსაჯულება ჩქარდება.
- მოსახერხებელია სხდომის იმ მონაწილეებისთვის (მონაწილეებისთვის), რომლებიც სასამართლოსგან დაშორებით ცხოვრობენ.
- შესაძლებელი ხდება შშმ პირების, ასევე ფინანსურად შეჭირვებული პირების პროცესზე გამოცხადება, რომლებსაც არ აქვთ ტრანსპორტირების საშუალებები.

### სამაჩთაღწაჰმოების გაუმჯობესების მიზნით რესპონდენტებმა დააფიქსიხეს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასამართლომ უზრუნველყოს იმ მოწმის ჩართულობა, რომელსაც არ აქვს სათანადო ტექნიკური საშუალებები.
- აუცილებელია გაუმჯობესდეს აუდიო კავშირის ხარისხი.
- სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში დაინერგოს დისტანციურად საქმეთა განხილვა.
- პენიტენციური დაწესებულებები აღიჭურვოს საჭირო რაოდენობის ტექნიკით, რათა არ შეფერხდეს დისტანციური პროცესები (დაემატოს აღჭურვილი ოთახების რაოდენობა).
- ნეიტრალურ საჯარო სივრცეში მოეწყოს მოწმის დასაკითხი ოთახი, საიდანაც შესაძლებელი იქნება მოწმეების ჩართვა.

### რეკომენდებული სხდომები

შეკითხვაზე, თუ რა სახის სხდომებს გაუნევდით რეკომენდაციას დისტანციური პროცესების ჩასატარებლად, რესპონდენტებმა მიუთითეს შემდეგი სხდომები:

- ბრალდებულის პირველი წარდგენა.
- წინასასამართლო სხდომა.
- აღკვეთის ღონისძიების განხილვის სხდომები.
- საპროცესო შეთანხმებები.
- პატიმრობის გადასინჯვის საკითხები.
- სხდომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მოწმის დაკითხვასთან და ნივთმტკიცებების გამოკვლევასთან.

- არსებითი განხილვა სადაც ყველა მტკიცებულება უდაოდაა მიჩნეული.
- სააპელაციო და საკასაციო სხდომები.

რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ, პანდემიის დასრულების შემდეგ, დისტანციური სხდომები უნდა შენარჩუნდეს მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებისთვის.

## სასამართლო სფეროებზე დასწრება

2020 წლის 19 ივნისს, საქმის განმხილველი მოსამართლის ნებართვით, „უფლებები საქართველოს“ მონიტორები დაეწრნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სისხლის სამართლის საქმის ორ დისტანციურ პროცესს.

აღნიშნულ სხდომებზე მონაწილეთა დაკითხვა ან ნივთმკიცებების გამოკვლევა არ მომხდარა. პირველ პროცესზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება და მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი, ხოლო მეორე პროცესი გადაიდო 20 ივლისისათვის, რისი ერთ-ერთი მიზეზი იყო ინტერნეტკავშირის ცუდი ხარისხი. მოსამართლემ მხარეებს ჰკითხა, სურდათ თუ არა პროცესების დისტანციურ რეჟიმში გაგრძელება, რაზეც მხარეებმა კატეგორიული უარი განაცხადეს.

### პროცესზე გამოიკვეთა შემდეგი ხაზვები

- დარბაზის ექოს გამო მოსამართლის ხმა მეორდება და რთული მოსასმენია.
- ზოგ შემთხვევაში მეორდება მონაწილეთა ხმაც, რაც სავარაუდოდ განპირობებულია სისტემური ხარვეზით (შესაძლოა იმით, რომ ერთდროულად არის ჩართული მიკროფონები).
- აუდიო კავშირის ხარისხი ბევრად უფრო დაბალია ვიდრე ზუმის შეხვედრების დროს.
- ერთ-ერთ პროცესზე აუდიო კავშირი იყო იმდენად ცუდი, რომ სანახევროდ ისმოდა მხარის წარმომადგენლის სიტყვები.

## პროექტის ჩაქოვანის რისკები

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოადგინოს შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, სასამართლოს მომხმარებელს მისდიოდეს სმს შეტყობინება / ელექტრონული შეტყობინება ელექტრონულად გაგზავნილ დოკუმენტში ხარვეზის თაობაზე.
- სასამართლოსთან დოკუმენტების ელექტრონული გაცვლა-გამოცვლა სრულად უნდა იყოს შესაძლებელი. დოკუმენტების ელექტრონულად ჩაბარება უნდა შეიძლებოდეს არა მხოლოდ საქმისწარმოების პროგრამით, არამედ ოფიციალურ სასამართლო მეილზეც.
- სასურველია საქმის მასალებზე ელექტრონულად პირდაპირი წვდომა, მათ შორის სხდომის აუდიო ოქმზე სრულად იყოს შესაძლებელი, როგორც პირველი, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში.
- ადვოკატისა და ბრალდებულთან ურთიერთობისთვის რეკომენდირებულია ვებექსის პროგრამაში იყოს ჩართული ჩეთის ფანჯარა სადაც მხოლოდ ბრალდებულ და ადვოკატი შეძლებენ მოსაზრებების გაცვლას სხდომის მიმდინარეობისას.
- რამდენიმე გამოკითხულმა აღნიშნა, რომ მხარეებს სხდომის ჩანაწერს ძველი აუდიო პროგრამიდან აძლევენ (პროგრამა, რომელიც მუშაობს სხდომის დარბაზში), თუმცა სასურველია მხარეს აძლევიდნენ ვებექსის პროგრამის ჩანაწერს, სადაც ჩანს გამოსახულებაც და ხმაც.
- სასურველია, მოსამართლე საუბრობდეს მიკროფონში (თუნდაც ყურსასმენის მიკროფონში), რომელიც პირდაპირ არის მიერთებული სისტემასთან. დარბაზის ექვს გამო მოსამართლის ხმა მეორდება და რთული მოსასმენია მხარეებისთვის.
- მონშეების დაკითხვა და მხარეთა ჩართულობა შეიძლება მოხდეს მოშორებული სასამართლოს დახმარებით, მაგალითად ბათუმში მცხოვრები მონშე პროცესს შეიძლება ჩაერთოს ბათუმის სასამართლოს შენობიდან.
- დისტანციური ფორმატი ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სააპელაციო და საკასაციო სასამართლო სხდომებზე.
- თუ მხარეები შეთანხმდებიან, ყველა სხდომა უნდა ჩატარდეს დისტანციურად.

\*\*\*

მეორე შუალედური ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „უფლებები საქართველო“ ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)